

HUMAN RIGHTS WATCH

350 Fifth Avenue, 34th Floor
New York, NY 10118
Phone: 212-290-4700
Fax: 212-736-1300
hrwnyc@hrw.org
Website: <http://www.hrw.org>

EUROPE AND CENTRAL ASIA DIVISION

Elizabeth Andersen
Executive Director
Rachel Denber
Deputy Director
Veronika L. Szente Goldston
Advocacy Director
Diederik Lohman
Moscow Office Director
Julia Hall
Senior Researcher
Alexander Anderson
Matilda Bogner
Julie Chadbourne
Bogdan Ivanisevic
Anna Neistat
Darian Pavli
Acacia Shields
Jonathan Sugden
Research Associates
Alexander Petrov
Deputy Director, Moscow Office
Liudmila Belova
Rachel Bien
Elizabeth Eagen
Giorgi Gogia
Ani Mason
Associates

STEERING COMMITTEE

Peter Osnos, *Chair*
Alice H. Henkin, *Vice Chair*
Morton Abramowitz
Barbara Finberg
Frederica Friedman
Felice Gaer
Michael Gellert
Paul Goble
Stanley Hoffman
Robert James
Kati Marton
Prema Mathai-Davis
Karl Meyer
Joel Motley
Herbert Okun
Jane Olson
Leon Sigal
Malcolm Smith
George Soros
Ruti Teitel
Mark Walton
William D. Zabel
Warren Zimmermann

HUMAN RIGHTS WATCH

Kenneth Roth
Executive Director
Michele Alexander
Development and Outreach Director
Carroll Bogert
Communications Director
Reed Brody
Advocacy Director
John T. Green
Operations Director
Barbara Guglielmo
Finance Director
Lotte Leicht
Brussels Office Director
Tom Malinowski
Washington Advocacy Director
Michael McClintock
Deputy Program Director
Maria Pignataro Nielsen
Human Resources Director
Dinah PoKempner
General Counsel
Malcolm Smart
Program Director
Wilder Tayler
Legal and Policy Director
Joanna Weschler
UN Representative
Jonathan Fanton
Chair



დაუყოვნებლივ გასაკრძებლად

გამრო საქართველოს ერთ წლიან ვადას აძლევს პატიმართან მოპყრობის სიტუაციის გასაუმჯობესებლად

კომიტეტის ექსპერტებმა ღრმა მწუხარება გამოხატეს რელიგიური ძალადობის უკონტროლო სიტუაციასთან დაკავშირებით

(თბილისი, 16 აპრილი, 2002 წ.) – დღეს Human Rights Watch-ი მიესალმა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ახალ რეკომენდაციებს დაკავებულთა და პატიმართა მიმართ მოპყრობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. კომიტეტმა საქართველოს ციხეებში სიკვდილიანობის მაღალ მაჩვენებელზე, ცუდ და ჯანმრთელობისთვის მავნე საცხოვრებელ პირობებზე, აგრეთვე პოლიციის მიერ წამებისა და დაუსაბუთებლად დაკავების ფართოდ გავრცელებულ ფაქტებზე გაამახვილა ყურადღება. კომიტეტმა საქართველოს 12 თვიანი ვადა მისცა ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად მიღებული საგანგებო ზომების წარსადგენად.

“კომიტეტმა მკაფიოდ განსაზღვრული მითითებები გააკეთა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ზომები უნდა მიიღოს საქართველომ, რათა აღასრულოს მის მიერ ნაკისრი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ვალდებულებები,” განაცხადა ელიზაბეტ ანდერსენმა, Human Rights Watch-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების აღმასრულებელმა დირექტორმა. “ხელისუფლებამ დროულად უნდა განახორციელოს საქართველოს პოლიციის, ციხეებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმირება.”

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, რომელიც შედგება თვრამეტი დამოუკიდებელი ექსპერტისაგან, მეთვალყურეობს ქვეყნების მიერ საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას.

18 და 19 მარტს საქართველოში არსებული სიტუაციის განხილვისას, კომიტეტმა ასევე ღრმა შეშფოთება გამოთქვა საქართველოში მზარდ რელიგიურ შეუმწყნარებლობასთან დაკავშირებით, რომელიც განსაკუთრებით იეპოვას მოწმეების წინააღმდეგაა მიმართული. მართლმადიდებელი ექსტრემისტებისაგან შემდგარი ბრბოს ძალადობა რელიგიურ უმცირესობებზე განსაკუთრებით გამწვავდა ბოლო ორნახევარი წლის მანძილზე, რასაც ხელისუფლების უმოქმედობამ შეუწყო ხელი. კომიტეტი საქართველოს მთავრობას მოუწოდებს სამართალში მისცეს რელიგიური უმცირესობების დამრბევნი, აწარმოოს რელიგიური შეუმწყნარებლობის მიზნით საზოგადოებრივი განათლების კამპანიები და განათლების მეშვეობით აღკვეთოს რელიგიის ან აღმსარებლობის ნიადაგზე არსებული შეუმწყნარებლობა და დისკრიმინაცია.

კომიტეტის კონკრეტული რეკომენდაციები პატიმართა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აღმოსაფხვრელად ასეთია:

- “უზრუნველყავით წამების ყველა ფორმისა და მსგავსი მოპყრობის კანონმდებლობით დასჯა, როგორც სერიოზული დანაშაულისა”;
- “შექმენით ნებისმიერ თავისუფლება შეზღუდულ პირთა მიმართ მოპყრობის მონიტორინგის ეფექტური სისტემა,” რათა უკეთ იყოს დაცული მათი პირადი უსაფრთხოება;
- “უზრუნველყავით უსამართლოდ მოპყრობის ყველა ფაქტის სათანადო გამოძიება დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, დამნაშავეთა სამართალში მიცემა და დაზარალებულთა სათანადო კომპენსირება”;
- “თავისუფლების აღკვეთიდან დაუყოვნებლივ უზრუნველყავით ადვოკატისა და ექიმის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა”;
- “დაკავებული პირისაგან ძალისმიერი მეთოდებით მოპოვებული ყველა მასალა უნდა იქნეს სათანადოდ გამოძიებული და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მისი სამხილად გამოყენება, თუ ის არ წარმოადგენს წამების სამხილს”;
- “უზრუნველყავით პოლიციელთა და სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებათა თანამშრომლების ტრეინინგი ადამიანის უფლებების დაცვის, განსაკუთრებით წამების დაუშვებლობის საკითხებში.”

Human Rights Watch-ს დოკუმენტირებული აქვს საქართველოს სამართალდამცავთა მიერ უკანასკნელი წლების მანძილზე ფართოდ გავრცელებული წამების, ცუდად მოპყრობისა და პროცესუალური ნორმების დარღვევების მრავალი ფაქტი. წამების მეთოდები მოიცავს სასტიკ ცემასა და ელექტრო შოკის გამოყენებას. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებული ახალი მონაცემები ცხადყოფს, რომ პოლიციის მიერ წამების შემთხვევები არ შემცირებულა ბოლო თვეების განმავლობაში. მარტო იანვარსა და თებერვალში პოლიციის განყოფილებებიდან წინასწარი დაკავების იზოლატორში

გადაყვანილ 44 პატიმარს აღენიშნებოდა სხეულის დაზიანების ახალი ნიშნები. საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის მაისსა და ივლისში მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებებმა დაკავებულთ ჩამოართვა ადამიანის უფლებების დამცველი მუხლები, მაგალითად, როგორც იყო სასამართლოსადმი გასაჩივრების უფლება, თუ ირღვეოდა მისი უფლებები წინასწარი პატიმრობისას. ამ ცვლილებებთან დაკავშირებულ Human Rights Watch-ის შეშფოთებებმა ასახვა ჰპოვა მის 2000 წლის ოქტომბერში გამოცემულ მოხსენებაში: “რეფორმათა გაუქმება: ცვლილებები ზღუდავს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.”

კომიტეტმა განსაკუთრებული შეშფოთება გამოხატა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საშუალებას იძლევა პირის 72 საათამდე დაკავების უფლებას, სანამ მას ბრალს წაუყენებენ და სასამართლო წინასწარ პატიმრობას შეუფარდებდეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე 2001 წელს მარტო თბილისის წინასწარი პატიმრობის ცენტრში 493 პატიმარი იქნა გადაყვანილი 72 საათიანი ვადის დარღვევით.

კომენტარები საქართველოს სისხლის სამართლებრივ სისტემაზე

საქართველოს პოლიციის, პროკურატურისა და სახაზინო ადვოკატის ინსტიტუტებს არ განუცდია მნიშვნელოვანი რეფორმირება საბჭოთა კავშირის შემდგომ პერიოდში. უფრო მეტიც, ზოგიერთი ელემენტები ამ სისტემაში, სავარაუდოდ, პარლამენტში ლობირებდნენ 1999 წელს განხორციელებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესულ რეგრესულ ცვლილებებს. სასამართლო სისტემის რეფორმირება დაწყებულია მსოფლიო ბანკის პროექტის დახმარებით, თუმცა რეფორმირებული სასამართლო სისტემის სიმყარე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სამართალდამცავი ინსტიტუტების რეფორმირების გარეშე. პოლიციისა და პროკურატურის დაბალი და არასტაბილურად გაცემული ხელფასები, მათ ფართო ძალაუფლებასთან ერთად, იძლევა საკმარის წამქეზებელ მიმეზს იმისათვის, რომ სამართალდამცავი სტრუქტურების ოფიციალურმა პირებმა ბოროტად გამოიყენონ თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობა. USAID-ის მიერ 2000 წლის აპრილში გაკეთებული საქართველოში კანონის უზენაესობის ანალიზი ასკვნის: “სამართლიანობის ადმინისტრირება ხშირად ხორციელდება პირადი ინტერესების მქონე საჯარო სამსახურში მყოფ პირთა ქსელის მიერ, რომელთაც არ ადარდებთ არც განსასჯელი და არც დაზარალებული.” 2001 წლის დეკემბერში პრეზიდენტ შევარდნაძემ ჩამოაყალიბა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირების პროგრამა.